

ლენინგრადს არსებობის 250 წელი შეუსრულდა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის
კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров
Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 75 (1089) | კვირა, 23 ივნისი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირი ქალაქი

სამი რევოლუციისა და კაცობ-იობის პროგრესისათვის ბობოქა-ი ბრძოლების, შრომისა და შე-ქმედების ასპარეზია ლენინ-რადი.

ქალაქი, საიდანაც „ავრორას“ ალპებმა მსოფლიოს ახალი ერას ლევამოსილი დადგომა ამცნეს, ადაც გენიალური ლენინი, თავის ანამებრძოლებთან ერთად, ძირ-ომპალ კაპიტალისტურ რეჟიმზე როლეტარიატის შტურმს წარმარ-თავდა!..

ყოველივე ამ ძვირფასის, განუ-ეორებლის გამოა, რომ დღეს თელი ჩვენი ქვეყანა, მთელი პრო-რესული კაცობრიობა სიყვარუ-ლით აღნიშნავს ლენინგრადის — დი ოქტომბრის სოციალისტური ევოლუციის ამ ცოცხალი, მონუ-ენტური რელიქვიის 250 წლის-თავს.

ჯერ კიდევ ორნახევარი საუკუ-ის წინათ, ნევის უკაცრიელ, ჭაო-ან ნაპირებზე, ადამიანთა გრან-იოზული შემოქმედებითი შრომის დეგად ჩაეყარა საფუძველი დღეს თელ მსოფლიოში სილამაზითა და ზადღებით სახელგანთქმულ ქა-აქს. ორ საუკუნეზე მეტი ხნის ანმავლობაში იქმნებოდა აქ რუსე-ის გამოჩენილი არქიტექტორე-ის, მშენებლების, შემოქმედი ხა-ხის გენიით შთაგონებული უძვი-ფასესი ძეგლები ხუროთმოძღვ-ებისა, რომელიც ადამიანთა აღ-აცებისა და უდიდესი ესთეტიკუ-ი სიამოვნების დაუშრეტელი წყა-ოა. ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შეუცვლელად იდგა ეს ქალაქი მთელი ქვეყნის კულტურის, ტექნიკის, მეცნიერების, რევოლუციური აზრისა და პრაქტიკის მოწინავე ტენდენციათა სათავეში.

მაგრამ ლენინგრადი თავისი არსებობის სხვა თარიღსაც ითვლის. იგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის თანატოლია, რევოლუციისა, რომლის პირველი სტრიქონები აქ, ამ დიად, მდიდარი რევოლუციური ტრადიციების მქონე ქალაქში დაიწერა. 1917 წლის ოქტომბერი პეტროგრად-ლენინგრადის ჭეშმარიტად მეორედ დაბადების, დიდი განახლების ისტორიული ზღვარია, რომელიც სათავეს უდებს ქალაქის ჯერარნახული ტემპებით განვითარებას, მისი ეკონომიკის, კულტურის, ტექნიკის, არქიტექტურისა და მატერიალური კეთილდღეობის მძლავრ აღმავლობას.

ლენინგრადი ფეხდაფეხ მოჰყვებოდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მძლავრი ინდუსტრიული განვითარების ტემპებს. იგი გადაიქცა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო ცენტრად. გიგანტური იყო მისი ნაბიჯები საბჭოთა ხუთწლედების განხორციელების გზაზე: უკვე 1940 წლისათვის ლენინგრადის მსხვილი მრეწველობის დონემ 12-ჯერ, 1950 წლისათვის — 16-ჯერ, ხოლო 1956 წლისათვის — 32-ჯერ გადააჭარბა ძველი პეტერბურგის 1913 წლის მრეწველობის დონეს. ლენინგრადში დაიწყო პირველი საბჭოთა ჰიდროტურბინების წარმოება, ლენინგრადში შენდება ატომური ყინულმჭრელი. ლენინგრადის მუშათა კლასისა და ტექნიკური ინტელიგენციის დაუცხრომელ შემოქმედებით შრომასთანაა დაკავშირებული ის უდიდესი ტექნიკური პროგრესი, რომელიც მიღწეულია მრავალი უახლესი მანქანების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების წარმოების დარგში.

ამ დიდი ეკონომიური რევოლუციის საფუძველზე მოხდა ლენინის ქალაქის მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება. მარტო 1945-1956 წლებში ლენინგრადში აშენდა 8 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები.

ნევის ნაპირებზე გაშლილი ქალაქი საბჭოთა ფიზკულტურისა და სპორტის ერთ-ერთ უმძლავრეს ასპარეზსაც წარმოადგენს.

ლენინგრადი უმდიდრესი სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქია. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ასპარეზობებზე, მოსკოვთან ერთად, ლენინგრადი დამოუკიდებლად იღებს მონაწილეობას სპორტის ყველა სახეობაში. ამ ქალაქის სპორტულმა კოლექტივმა გასული წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ლენინგრადში აღიზარდნენ საბჭოთა სპორტის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორებიც არიან მ. ბოტვინიკი, მ. ტაიმანოვი, გ. ზიბინა, ვ. სტოლნიკოვი, გ. შატკოვი, ა. ფალომეევი, თ. მანინა, ა. იგნატიევი, გ. პოპოვა, ნ. ვინოგრადოვა, თ. ტიშკევიჩი და მრავალი სხვა.

ლენინგრადში სპორტის გავრცელების მასობრივ ხასიათზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქალაქის სპარტაკიადის წინა შეჯიბრებაში მონაწილეობდა 200.000-ზე მეტი სპორტსმენი, ხოლო ცალკეული საწარმოების სპარტაკიადებში: ლენინგრადის ფეხსაცმლის ფაბრიკა „სკოროხოდში“ — 7.000 სპორტსმენი, კიროვის ქარხანაში — 4.000, ქარხანა „ბოლშევიკში“ — 4.500, ქარხანა „გომზში“ — 5.000 სპორტსმენი და ა. შ.

გასული წლის სპორტული შეჯიბრებების მიხედვით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ლენინგრადის გუნდებმა კრივში, თავისუფალ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, ცურვაში და სხვ.

ყოველივე ეს ლენინის ქალაქის დიდი სპორტული მიღწევაა!..

თეთრ ღამეებში ცურავს ახლა, სახელოვანი იუბილის დღეებში, ლენინგრადის დიდებული ნაგებობანი.

ახსოვს ლენინგრადს 1893 წელი! ჭაბუკი ვ. ი. ულიანოვი სასწავლებლად ჩამოდის პეტერბურგში... მუშათა პირველი პარტია რუსეთში... მარქსიზმის იდეები ეუფლება მასებს... და აი, ბობოქარი ცხრაასჩვიდმეტიც!.. ზედიზედ ემხობიან თვითმპყრობელობის ბასტიონები!.. განახლების ცეცხლში იბადება ახალი ქვეყანა და მასთან — რევოლუციის დედაქალაქიც!.. ახსოვს ლენინგრადს გიგანტური აღმავლობის დაწყების წლებიც და მის თავზე შემოჯარული მრუმე, პირქუში ღრუბლებიც — მოძალადის სვასტიკის ფერისა... ახსოვს ბლოკადის მძიმე დღეებიც და დიადი გამარჯვების ნათელიც, გამარჯვებული ხალხის გმირული ყიჟინაც!..

ყოველივე ეს გარდასული ისტორიის ფურცლებში ჩაწერა ლენინის ქალაქმა და ახლა რწმენით შეჰყურებს ნათელ მომავალს!

კიდევ მრავალ იუბილეს გადიხდის ლენინგრადი... მაგრამ ყოველი მათგანი მას უცვლელად წარმოადგენს როგორც მარად ჭაბუკ, მარად მგზნებარე, მომავალ მადლიერ თაობათა მარად უჭკნობი სიყვარულით გარემოცულ ქალაქ-რევოლუციონერს, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ახალი, ნათელი ეპოქის ომახიანი მაუწყებელიცაა და უძვირფასესი პირმშოც!..



თავისუფალი ბაშკირეთის დღესასწაული

ამას წინათ ბაშკირეთის ხალხმა აღნიშნა ბაშკირეთის რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების 400 წლისთავი და ბაშკირეთის ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოება. გმირმა ბაშკირმა ხალხმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჰპოვა თავისი ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილი აყვავება. რუსებთან, უკრაინელებთან, ჩუვაშებთან და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ძმურ ოჯახში მან დიდ წარმატებას მიაღწია.

დღესასწაულის დღეებში ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში გაიმართა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა რესპუბლიკური ფესტივალი და მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადა. მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო საბანტუი — ნაციონალური დღესასწაული, რომელსაც ბაშკირელი ხალხი ყოველწლიურად აღნიშნავს თესვის კომპანიის ჩატარების შემდეგ. საბანტუი სიტყვასიტყვით „გუთნის დღესასწაულს“ ნიშნავს.

იმ დროს, როდესაც უფის „დინამოს“ სტადიონზე მიმდინარეობდა ფესტივალისა და სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთმანეთს ხვდებოდნენ საბანტუის მოყვარულები.

46 კაცი ეჯიბრებოდა 17 მეტრის სიმაღლის ანძაზე აცოცებაში. უმეტესობამ ანძის მხოლოდ შუამდე მიაღწია. ეს იმიტომ, რომ ანძა გასაპნული იყო. მაგრამ 14 წლის საშა ნიკოლაევმა ეს სიძნელე დაძლია და ჯილდოც მიიღო.

საინტერესო იყო ბრძოლა ძვირზე ნახერხით გატენილი ტომრებით. უფრო მიმზიდველი გამოდგა სირბილი კოვზით. მონაწილეს კბილებში გარჭობილი აქვს ხის კოვზი, რომელზეც ქათმის კვერცხი დევს. საბანტუის მოყვარულმა ისე უნდა გაირბინოს 75 მეტრი, რომ კვერცხი შერჩეს კოვზზე.

საბანტუის ყველაზე საინტერესო სანახაობა იყო დოღი. რომელიც იმართება უბელო ცხენით დოღში ყველას აჯობა ბაშკირელი ხალხის ნაციონალური გმირის სალავატი იულაევის სოფლის მკვიდრმა რ. ბაგაუტდინოვმა, რომელმაც ცხენ „მარსით“ 6.400 მეტრი გაირბინა 9 წუთსა და 13 წამში და დაიმსახურა ბაშკირეთის ასსრ პრიზი.

ფინიშთან პირველი იყო მ. გალაქტიონოვი

მოსკოვში ჩატარდა პროფკავშირების უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება 30 კილომეტრზე რბენაში. გაზეთ „ტრუდის“ ჯილდოზე, რომელშიც 62 გუნდის 200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

პირველობისათვის ბრძოლა უმთავრესად გაიმართა გასული წლის შეჯიბრებაში გამარჯვებულ ი. ფილინსა და მ. გალაქტიონოვს შორის. შედეგით 1:36.21,8 ფინიშთან პირველი იყო მ. გალაქტიონოვი. მას 23,4 წამით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასული ი. ფილინი.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს „მეტალურგის“ სპორტსმენებმა.

◆

საქართველოს 1957 წლის ჩემპიონები ფარიკაობაში მარცხნიდან— ი. ესაიაშვილი, გ. გოგელია, კ. გოგელია, რ. გოშაძე, ი. ოსიპოვი.

◆

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ-ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

როცა 400 მეტრზე წინასწარი გარბენი დამთავრდა, გოგონათა შორის 29 მონაწილედან ყველაზე კარგი შედეგი (1.04,2) ჰქონდათ თბილისელებს ნ. მუხურაძესა და გ. ჯავახოვას, მაგრამ ფინალში ჯავახოვა არ გამოცხადდა. ნ. მუხურაძემ 0,7 წამით გააუმჯობესა საკუთარი შედეგი და პირველი ადგილი მოიპოვა.

15-16 წლის ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა რბენა 200 მეტრზე თარჯებით. იგი ეკუთვნის ი. დიაჩკოვს (თბილისი I) და უდრის 26,5-ს. მეორე ადგილი მოიპოვა აფხაზეთის წარმომადგენელმა ი. კონჯარიამ — 28,4. მ. სხირტლაძე (თბილისი II) მესამე იყო, რომელმაც კონჯარიასთან წააგო 0,2 წამით. ბადროს მტყორცნელ გოგონათა შეჯიბრებაში მოსწავლეთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა აჭარელმა მ. ნედელიამ — 42,69 მ.

ზოგიერთ სახეობაში ჩავარდნების მიუხედავად სპარტაკიადაზე კიდევ ორი რეკორდი იქნა დამყარებული. ერთი ეკუთვნის სამხრეთ ოსეთის გუნდის წევრს რ. ლოხოვს, რომელმაც II და III ადგილებზე გამოსულ თბილისის პირველი გუნდის წევრებთან ლ. დარახველიძესა და ი. მაჩაიძესთან ბრძოლაში სამხტომში აჩვენა 14,34 მეტრი. მეორე რესპუბლიკური რეკორდი დამყარებულ იქნა შეჯიბრების უკანასკნელ წუთებში, როცა ხუთჭიდელმა გოგონებმა დაამთავრეს მეხუთე სახეობა — სიგრძეზე ხტომა, გამოირკვა, რომ გამარჯვებულ ლ. ვოლოშინას (თბილისი I) მოეგროვებინა 3.558 ქულა (რეკორდი).

მაღალი შედეგებით აღინიშნა შეჯიბრება უროს ტყორცნაში. პირველი ვარჯიშიდანვე ნათელი გახდა, რომ ამ სახეობაში პირველობას არავის დაუთმობდნენ თბილისელები ა. ებანოიძე და ე. მეჟენკოვი. ჩემპიონობისათვის ბრძოლა ძირითადად მათ შორის წარიმართა. როცა ე. მეჟენკოვის მიერ უკანასკნელად ნასროლი ურო 45,45 მეტრზე დაეცა, აღარავინ ელოდა ამ შედეგის გაუმჯობესებას, მაგრამ ა. ებანოიძეს ეკუთვნოდა უკანასკნელი სიტყვა — კიდევ ერთი ცდა.. სპორტსმენმა სწრაფი ბრუნვით ძლიერად ტყორცნა ურო, რომელიც 40 სანტიმეტრით გადაცილდა მეჟენკოვის შედეგს.

რამდენადაც ძლიერად ჩაატარეს შეჯიბრება ხუთჭიდელმა გოგონებმა, იმდენად ცუდად გამოვიდნენ ჭაბუკები. მონაწილეთაგან მხოლოდ ერთმა — თბილისელმა ო. ცხადაძემ შეძლო ეჩვენებინა მესამე თანრიგზე (2.000 ქულა) 41 ქულით უკეთესი შედეგი და ჩათვლა მიეცა გუნდისათვის.

დაბალი მაჩვენებლებით აღინიშნა, აგრეთვე ჭაბუკთა შეჯიბრება 800 და გოგონათა შეჯიბრება 200 მეტრზე რბენაში. სპარტაკიადის დებულების თანახმად მონაწილე, რომელიც აღნიშნულ შეჯიბრებაზე ვერ შეასრულებდა მესამე თანრიგის ნორმატივს, გუნდს ჩათვლას არ აძლევდა. 800 მეტრზე რბენაში 32-მა სპორტსმენმა აიღო სტარტი. როცა ყველა გარბენი დამთავრდა, ნათელი შეიქმნა, რომ მხოლოდ ერთ მონაწილეს— ზუგდიდელ გ. ანჯაფარიძეს ეჩვენებინა მესამე თანრიგის ნორმატივზე (2.09,0) უკეთესი შედეგი — 2.05,7. დანარჩენ მონაწილეებს ამაოდ მოუხდათ სტადიონის ორი წრის შემოვლა.

საკმაოდ დაბალი იყო გოგონათა შედეგი 200 მეტრზე რბენაში. ამ დისტანციაზე მესამე თანრიგის ნორმატივი — 28,5 წამი არც ისე მაღალია, მაგრამ 34 მონაწილიდან ამ ზღვარის გადალახვა მხოლოდ 7-მა შეძლო, მათ შორის ყველაზე კარგი დრო — 26,5 აჩვენა ტ. პშენიჩნაიამ.

მძლეოსანთა შეჯიბრება დამთავრდა. გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: თბილისი I, აფხაზეთი, აჭარა. მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს ხაშურის, ბორჯომისა და ზუგდიდის მძლეოსნებმა.

Ო. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ველოსიპედისტთა შეჯიბრება ჩატარდა ნატახტარის მიდამოებში. პირველ დღეს ჭაბუკებს გუნდურ რბოლაში უნდა დაეფარათ 50 კმ. დისტანცია, ხოლო გოგონებს — 25 კილომეტრი.

გოგონებმა აიღეს თუ არა სტარტი, წვიმა დაიწყო, რამაც საგრძნობლად გააძნელა შეჯიბრება. ვერც ერთმა მონაწილე გუნდმა ვერ შეძლო მესამე თანრიგის შესრულება, რის გამო ჩათვლაში ვერ მოხვდნენ. ფინიშთან პირველად თბილისის პირველი გუნდის წარმომადგენლები მივიდნენ.

ვაჟთა სტარტის წინ წვიმამ გადაიღო. პირველ ადგილზე გამოსულმა ბათუმის გუნდმა (გ. კუტუბიძე, რ. ჩხარტიშვილი, რ. ჭანუყვაძე და გ. მკრტიჩიანი) აჩვენა კარგი დრო — 1:17.58,0. გამარჯვებულებს 1,6 წამით ჩამორჩნენ თბილისის პირველი გუნდის ველოსიპედისტები. აფხაზეთის კოლექტივმა მოიპოვა მესამე ადგილი.

მეორე დღეს დაყოფილი სტარტით გოგონები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ 20 კილომეტრზე. ეს დისტანცია კარგად გაიარა გ. ატლანოვამ (თბილისი II) — 33.20,7.

საინტერესოდ წარიმართა ჭაბუკთა პირადი პირველობა 75 კილომეტრზე საერთო სტარტით. ფინიშზე უკეთესები აღმოჩნდნენ სოხუმელი სპორტსმენები ლ. შენგელია, ვ. ზავალუკი და რ. ხალოვი, რომლებმაც ერთნაირი დრო — 2:11.32,0 აჩვენეს. პირველი ადგილი მიეკუთვნა შენგელიას. საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: აფხაზეთი, თბილისის I გუნდი, აჭარა.

Ა. ᲒᲣᲜᲘᲐ,
სპორტის ოსტატი.

ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

მოზარდ პირველთანრიგოსანთა სავალდებულო ვარჯიშებში მოპოვებული უპირატესობა ქუთაისელებმა ე. ბენიძემ, რ. თორაძემ და დ. დიდევამ წარმატებით შეინარჩუნეს ნებისმიერ ვარჯიშებში და პირველი სამი ადგილი დაისაკუთრეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დ. დიდევამ მეორე ადგილზე გადმოინაცვლა და თავისი თანაგუნდელი რ. თორაძე მესამე ადგილზე „დასწია“. არც მოზრდილთა პირველ თანრიგში მომხდარა არსებითი ცვლილება: 76,6 ქულით ჩემპიონობა ლ. მელქაძემ (ქუთაისი) გაინაღდა. მეორე ადგილზეა სოხუმელი დ. ხალათოვა, მესამეზე — ქუთაისელი მ. გვილავა.

ჭაბუკებში ოსტატთა პროგრამით მხოლოდ ოთხმა გაბედა გამოსვლა. გოგონებში — 31-მა, მათგან ქუთაისიდან იყო 6, აჭარიდან — 3, აფხაზეთიდან, ზუგდიდიდან, ხაშურიდან და ცხაკაიადან— თითო. სიმრავლის გამო მონაწილენი ოთხ ჯგუფად გაიყვნენ. მაყურებელმა ყურადღება გადაიტანა იმ ჯგუფზე, სადაც პირველობის ძირითადი პრეტენდენტი — მ. ნინოშვილი გამოდიოდა. მის მიერ შესრულებულ ვარჯიშებში იგრძნობოდა სიმსუბუქე და დახვეწილობა, ამიტომ ყველა იარაღზე მაღალი შეფასება და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. 45,35 ქულით მან ჩემპიონობა გაინაღდა. თორაძემ 0,2 ქულით გაასწრო მესამე ადგილზე გამოსულ ზვიადაძეს (43,65 ქულა).

ოსტატთა პროგრამით მოვარჯიშე ჭაბუკებიდან იარაღებზე ჩემპიონობა თბილისელებმა ნ. მაკალათიამ (ძელი, ბჯენითი ხტომები, თავისუფალი ვარჯიში, ორძელი) და გ. გრომოვმა (ტაიჭი, რგოლები) გაინაწილეს.

ჭაბუკთა შორის პირველ ჯგუფში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისელებმა.

სპარტაკიადის ჩემპიონობა შეინარჩუნა თბილისის I გუნდმა.

Ა. ᲑᲐᲠᲜᲝᲕᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„დინამოს“ სტადიონზე გრძელდება ჭაბუკთა შეჯიბრება ფეხბურთში. გათამაშების მეორე დღეს, აფხაზეთისა და ცხაკაიას ნაკრები გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს პირველებმა — 1:0. ასეთივე მინიმალური ანგარიშით (1:0). აჭარის ნაკრებმა დაამარცხა სამხრეთ ოსეთის ჭაბუკი ფეხბურთელები. თბილისის I გუნდის მთლიანი უპირატესობით მიმდინარეობდა შეხვედრა ზესტაფონის ნაკრებთან. დიდხანს ანგარიში იყო 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ. შეხვედრის დასასრულს, ზესტაფონელმა სპორტსმენებმა საპასუხო გოლი გაიტანეს და შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1. ასეთივე ანგარიში (1:1) აღინიშნა თბილისის II და ლანჩხუთის ნაკრები გუნდების შეხვედრაში.

მესამე კალენდარულ დღეს თბილისის I ნაკრებმა, ძლიერად ჩაატარა შეხვედრა ლანჩხუთის გუნდთან და გაიმარჯვა — 3:1. ხოლო თბილისის II გუნდმა დაამარცხა ზესტაფონელი ფეხბურთელები — 3:0. დაძაბულად ჩატარდა სტალინირისა და ცხაკაიას გუნდების შეხვედრა. ცხაკაიელი ფეხბურთელები გამარჯვების შემთხვევაში ფინალში გადიოდნენ, მოწინააღმდეგეებს აკმაყოფილებდათ ყაიმი. შეხვედრა სტალინირელთა შეტევებით დაიწყო და მე-10 წუთზე ს. ჯიოევმა ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. პირველი ნახევრის დასასრულს ზ. გულიამ ისარგებლა სტალინირელთა მეკარის შეცდომით და გაათანაბრა ანგარიში. მეორე ნახევრის მე-7 წუთზე ცხაკაიელთა მარცხენა ნახევარმცველმა ე. ცეკვაშვილმა საჯარიმოდან გაიტანა მეორე ბურთი — 2:1. შემდეგში სტალინირელებმა შეძლეს ძალების მობილიზება და გაათანაბრეს ანგარიში — 2:2.

I ქვეჯგუფის გუნდებიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თბილისის I და II ნაკრებმა გუნდებმა. II ქვეჯგუფიდან ფინალში ითამაშებენ აჭარისა და სტალინირის გუნდები.

Შ. ᲥᲘᲠᲘᲐ

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

სოხუმში დამთავრდა ფრენბურთელთა შეხვედრები. გამარჯვებისათვის იბრძოდა ჭაბუკთა და გოგონათა 8-8 გუნდი. ჭაბუკთა შორის ჩემპიონები გახდნენ თბილისის პირველი გუნდის წარმომადგენლები. მეორე ადგილი მოიპოვეს სოხუმელმა სპორტსმენებმა. თბილისის მეორე გუნდის ფრენბურთელები გამოვიდნენ მესამე ადგილზე.

გოგონათა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო თბილისის პირველი კოლექტივი, მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს სოხუმისა და ბათუმის ფრენბურთელებმა.

* * *

სურათზე: სოხუმისა და თბილისის გუნდების რბოლის მომენტი.
ფოტო ხ. ჟელტიკოვისა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ბათუმის ბაზებზე გრძელდება კალათბურთელთა შეხვედრები. საინტერესოდ ჩატარდა ხაშურისა და ქუთაისის გოგონათა გუნდების შეხვედრა. მატჩი მოიგეს ხაშურელმა სპორტსმენებმა — 39:38. აღსანიშნავია ხაშურელ პაიჭაძის შესანიშნავი თამაში, რომელმაც ამ მატჩში თავის გუნდს მოუტანა 31 ქულა. სამაგიეროდ ხაშურელებმა დიდი ანგარიშით წააგეს შეხვედრა თბილისის I კოლექტივთან — 33:101.

ჩემპიონატში სუსტად გამოდიან თელაველი ჭაბუკი კალათბურთელები. მათ დიდი ანგარიშით წააგეს შეხვედრა თბილისის I გუნდთან— 25:116 და ფოთთან — 27:52.

სხვა შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია:

გოგონები — ბათუმი-ხაშური — 40:29, სოხუმი-სტალინირი — 41:22, თბილისი I-ქუთაისი — 46:27, თბილისი I-სოხუმი — 41:21, თბილისი II-სტალინირი — 45:23, სოხუმი-თბილისი II — 36:25, ბათუმი-სტალინირი — 48:13.

ჭაბუკები — ბათუმი-სამტრედია — 81:30, თბილისი I-სოხუმი — 117:42, სამტრედია-თელავი — 45:43, თბილისი I-ფოთი — 95:35, თბილისი II-ფოთი — 77:57, ბათუმი-სოხუმი — 86:49, სამტრედია-ქუთაისი — 49:82, ბათუმი-ქუთაისი—84:62. თბილისი II-სოხუმი—61:60, თბილისი II-ქუთაისი — 66:64.

Ი. ᲞᲐᲠᲚᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ბათუმში დამთავრდა მოსწავლე წყალბურთელთა შეხვედრები. უკასკნელ მატჩში „შრომითი რეზერვების“ გუნდმა ანგარიშით 7:2 დაამარცხა ფოთის კოლექტივი. ერთადერთი დამარცხება განიცადეს ბათუმელმა სპორტსმენებმა თბილისის II გუნდთან შეხვედრაში — 0:2 და დაკარგეს პირველი ადგილის მოპოვების შანსები. თბილისის I გუნდმა დიდი ანგარიშით — 8:1 სძლია ფოთს და მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონობა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბათუმელი წყალბურთელები, მესამეზე — თბილისის II გუნდი.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დაიწყო ევროპის პირველობის გათამაშება კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობს 16 უძლიერესი კოლექტივი. კენჭისყრის შედეგად დადგინდა 4 ქვეჯგუფის შემადგენლობა. პირველ ქვეჯგუფში არიან: სსრკ, პოლონეთი, თურქეთი და ავსტრია, მეორეში — უნგრეთი, რუმინეთი, ფინეთი და ბელგია. მესამეში — ჩეხოსლოვაკია, ალბანეთი, იუგოსლავია და შოტლანდია. ყველაზე ძლიერი გუნდებია მეოთხე ქვეჯგუფში. აქ ბულგარელებთან ერთად იბრძვიან გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, იტალიის და საფრანგეთის კოლექტივები. ქვეჯგუფებში პირველ ორ ადგილზე გამოსული კოლექტივები (სულ 8 გუნდი) იბრძოლებენ ფინალურ ჯგუფში.

საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავენ ცნობილი კალათბურთელები: ს. სტონკუსი, ლაურინასი (ორივე კაუნასიდან), ვალდმანისი, მუჟნიეკსი (ორივე რიგიდან), ოზეროვი, სემიონოვი, ტორბანი, ბოკარიოვი (ყველა მოსკოვიდან), (ტალინიდან) და მინაშვილი (თბილისიდან).

ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა პირველი მატჩი ჰქონდა ავსტრიის გუნდთან. როგორც ცნობილია, ავსტრიელი კალათბურთელები მაინცდამაინც დიდი ოსტატობით არ გამოირჩევიან. მათ წააგეს პირველი ნახევარი ანგარიშით 56:21. მეორე ნახევარში, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა გუნდი სათადარიგო შემადგენლობით გამოვიდა, ინიციატივა ჩვენი გუნდის ხელში იყო და შეხვედრა ჩვენი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 107:

თურქეთის გუნდმა ბრძოლაში წააგო მატჩი პოლონეთთან — 30:55. ჩეხოსლოვაკიამ დამარცხა შოტლანდია — 123:44, იუგოსლავიამ — ალბანეთი — 89:

დ. ციმაკურიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

◆

თურქეთის ეროვნული ნაკრების მეცენატმა, განთქმულმა ბანკირმა სეით ბეიმ ჩემპიონატის დაწყების წინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი დარწმუნებულია ჰუსეინ აკბასისა და მუსტაფა დაღისტანლუს წარმატებაში, რადგან ისინი მას არასდროს უღალატებენ.

ჰუსეინმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ბანკირის ნდობა. და რა ფინანსურ სარგებლობას მოუტანდა მას ამ ნდობის გამართლება. ამიტომ იგი იბრძოდა დიდი მონდომებით, აზრიანად და, რაც მთავარია, ვერაგულად. ამ ხელმიწვენით ეშმაკი მოჭიდავის მახეს ვერ გადურჩა ვერც ფიზიკურად ძლიერი დიმოვი (ბულგარეთი), ვერც ავსტრიელი ტუში, ვერც უნგრელი ფუსიკი, იაპონელი იაძუკი და ფინელი იასკარი. 5 შეხვედრა ჩაატარა სეით ბეის ფალავანმა და სამი სუფთად მოიგო. მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ჰუსეინისათვის იყო თავისი მაღალი ოსტატობის ჯილდო.

რა საჭიროა აკბასისათვის წყალთა მეურნეობის სამმართველოს კონტროლიორის (სადაც იგი მუშაობს) მოკრძალებული როლი, ამბობდა ბევრი, როდესაც მან ორი გამარჯვებით (აქ მხედველობაშია ტოკიოს და სტამბოლის მსოფლიო ჩემპიონატები) უზრუნველჰყო თავისი მომავალი და პრესტიჟი, მაგრამ თურქის აზრი ამ საკითხზე განსხვავდებოდა სხვების აზრისაგან და, როგორც ჩანს, საწყლოსნო მეურნეობისათვის ღალატზე მას არ უფიქრია.

სამწუხაროდ, ჩვენს ახალგაზრდა დებიუტანტებს, პირდაპირ უნდა ითქვას, არ გაუმართლდათ. მას შემდეგ, რაც არსენიანმა კარგ სტილში დაამარცხა უნგრელი ფუსიკი, იგი ბულგარელ დიმოვს შეხვდა. ყველასათვის მოულოდნელად ახალგაზრდა მოჭიდავემ ეს ბრძოლა ყაიმით დაამთავრა. მართლაც, იგრძნობოდა და ამას დანარჩენებიც ხედავდნენ, რომ არსენიანი მეტოქეზე ძლიერი იყო, მაგრამ გამოუცდელობამ (ეს არსენიანისათვის მეორე საერთაშორისო შეხვედრა იყო), მას სასურველი გამარჯვებისათვის მიღწევის საშუალება არ მისცა. ასეთივე მიზეზით წააგო მან მესამე და უკანასკნელი ბრძოლა ჩემპიონატის მეორე პრიზიორთან იასკარისთან (ფინეთი) და დატოვა შეჯიბრება.

შედარებით უკეთ გამოვიდა ქვემსუბუქ წონაში ნ. მუშელიანი. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ მის ტრიუმფალურ სვლას ვერავინ შეაჩერებდა. კრემსერთან (ავსტრია) ქულებით გამარჯვების შემდეგ მუშელიანმა მე-10 წუთზე დააწვინა იაპონელი მოტოიში და აგრეთვე სუფთად მოუგო ბულგარელ ტიგროვს. მეოთხე წრეში მუშელიანმა ქულებით წააგო ირანელ იბრაჰიმიანთან. მომდევნო შეხვედრის სუფთა მოგებით პენტილასთან (ფინეთი) მუშელიანი ფინალში გავიდა, მაგრამ ეს იყო და ეს. მეტის გაკეთება ახალგაზრდა მოჭიდავემ ვერ შეძლო. მან წააგო უკანასკნელი შეხვედრა დაღისტანლუსთან 10 წუთში და ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

უკანასკნელ წაგებაში საბჭოთა მოჭიდავეს ვერ გავამტყუნებთ, რადგან თურქი მუსტაფა დაღისტანლუ ჩვენი დროის ერთ-ერთი შესანიშნავი მოჭიდავეა. ეს მან დაამტკიცა იმ წონაში, რომელშიც იგი წლების მანძილზე გამოდიოდა და ეს მან დაამტკიცა სტამბოლშიც, როდესაც ჭიდაობის მოყვარულებმა იგი ერთი წონით მაღლა იხილეს. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ იაპონელ სასახარის თურქეთში ჩამოუსვლელობის გამო, არ შედგა თურქისა და იაპონელის შეხვედრა, რომელიც ალბათ ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო ბრძოლა იქნებოდა. წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება იმ შეხვედრის შედეგზე, რომელიც არასდროს შემდგარა და არც შედგება. მაგრამ ჩემი, როგორც მწვრთნელის აზრია, რომ იაპონელს ფარხმალის დაყრა მოუხდებოდა უძლეველი მუსტაფას წინაშე. დაღისტანლუმ მიიღო მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი და მოჭიდავეთა სამყაროში კიდევ ერთი ახალი აღიარება.

მკითხველს ალბათ ახსოვს გაზეთ „ისტამბულ ექსპრესის" საპროგრამო პროგნოზები, რომლის შინაარსზე ადრე ვლაპარაკობდით. ამ პროგნოზების მიხედვით თურქებმა პირველი ადგილი საბჭოთა გუნდიდან მხოლოდ ალიმბეკ ბესტაევისათვის (მსუბუქი წონა) გაიმეტეს. ალიმბეკმა ასეთი პატივისცემა დაიმსახურა შარშან, სტამბოლში გამართულ მსოფლიო თასის შემდეგ და წლევანდელ ჩემპიონატში გაამართლა კიდეც იგი. მართალია, იყო მომენტი, როდესაც ბესტაევის ბედი ბეწვზე ეკიდა ბულგარელ ალიევთან და თურქ შახინთან ყაიმის შემდეგ, მაგრამ იაპონელ კაცუოსთან სუფთა მოგებამ მდგომარეობა ალიმბეკის სასარგებლოდ მთლიანად გამოასწორა.

თურქებს, როგორც ჩანს, პირველი ადგილის აღების დიდი სურვილი ჰქონდათ ქვესაშუალო წონაში. ამ მხრივ მათი სურვილი არაფრით განსხვავდებოდა ბალავაძის სურვილისაგან. ვახტანგსაც ჰქონდა მიღებული მტკიცე გადაწყვეტილება, ოღონდ თავის სასარგებლოდ. ახლა მთელი ამბავი იმაში იყო, თუ ვისი სურვილი გამართლდებოდა, ვინ მოიპოვებს ოქროს მედალს და ჩემპიონის დაფნის გვირგვინს, ისმაილ ოგანი, თუ ვახტანგ ბალავაძე? ეს აწუხებდა ყველა დამსწრეს. ვახტანგმა, პირველმა გასცა ამ შეკითხვას პასუხი. პასუხი არ იყო სიტყვიერი. იგი გამოიხატებოდა ფანდით. რომელსაც შესანიშნავად ხმარობს მსოფლიო ჩემპიონი და რომელსაც შუასარმას უწოდებენ ჩვენში. პოლონელი ქოვჩიკი მე-4 წუთზე „უფალმა მიიღო". თავისი საბრძოლო პროგრამის პირველი პუნქტი შეასრულა ისმაილ ოგანმაც. მან ქულებით დაამარცხა ნიცოლა (იტალია). ამ წონაში იყვნენ კიდევ ძლიერი მოჭიდავეები, თუნდაც ისეთები, როგორებიც არიან ირანელი ფარდინი ან ბულგარელი მურთაზოვი, მაგრამ ვინაიდან დრამატული მომენტების მთელი სიმძაფრე ოგანსა და ბალავაძეს შორის ბრძოლაში გადავიდა, დანარჩენების შეხვედრებს სწორედ მათ მიმართ დამოკიდებულებაში შევეხები.

ფარდინმა პირველ წრეში დაისვენა და იგი ასე ვთქვათ შენახული ძალებით შეხვდა ბალავაძეს მეორე წრეში. ირანელისათვის ბალავაძე ის გადაულახავი ზღუდე იყო, რომელზედაც მან კისერი წაიტეხა რამდენიმე წლის წინათ იაპონიაში. კენჭისყრის სიმუხთლემ ფარდინს ამ ჩემპიონატშიც უწია. მეორე წრეშივე რომ არ ჰქონოდა მას ბრძოლა ვახტანგისთან, შეიძლებოდა უკეთეს მომავალზე ფიქრი ფარდინმა დახუჭული თვალებით სცადა ჭიდაობის მორევში შეცურვა. ეგებ როგორმე შემთხვევით ფონს გასულიყო, მაგრამ სამჯერ დაისაჯა იგი კადნიერებისათვის და სამჯერ აღმოჩნდა დათხილი ლეიბზე. შეხვედრის დამთავრების შემდეგ ფარდინმა ხელის ჩაქნევით გამოხატა თავისი უკმაყოფილება, რაც სასოწარკვეთის და გულგატეხილობის ჟესტს უფრო ჰგავდა, ვიდრე უბრალოდ უსიამოვნო გრძნობის გამოხატვას. ერთი სუფთა მოგება და ერთი ქულებით, ასეთი იყო ორი წრის შედეგი ვახტანგისათვის. იმისათვის, რომ თურქი გაუთანაბრდეს მსოფლიო ჩემპიონს, საჭიროა მეორე შეხვედრის სუფთად მოგება. ისმაილ ოგანი თავისი გეგმის ერთგულია აქაც და მე-9 წუთზე ქოვჩიკი დააწვინა ბეჭებზე.

მესამე წრეში ბალავაძემ ქულებით დაამარცხა ნიცოლა მხოლოდ იმიტომ, რომ იტალიელმა თავიდანვე დაიწყო ლეიბის გარშემო სირბილი. ნიცოლას ვერ დასწამებ სიმხდალეს, რადგან მას საკმარისად აქვს ძალაც, გამძლეობაც და თავისუფალი ჭიდაობის ყველა ნიუანსებში გარკვეულია. იტალიელმა ოგანთან ერთი ზედმეტი ქულაც კი გააკეთა, მაგრამ ეს მსაჯების სინიდისზე იყოს. საქმე იმაშია, რომ აქაც ისევე, როგორც ცალქალამანიძის შემთხვევაში, თავი იჩინა იტალიის ნაკრების მწვრთნელის, ნურის გავლენამ.

ნიცოლამ წააგო ბალავაძესთან ქულებით, თურქმა კი, სუფთად მოუგო იაპონელ კუროდას. ამრიგად თურქს ჰქონდა ორი სუფთა და ერთი ქულებით გამარჯვება. ვახტანგს კი, ერთი სუფთა და ორი ქულებით.

მეოთხე წრე იყო ჩემპიონატის კულმინაციური წერტილი. ბალავაძე-ოგანი. თქმა არ უნდა ამას, რომ ამ შეხვედრამ 30 ათასი წყვილი თვალი მიაჯაჭვა სარბიელს, დაძაბულობამ 12 წუთის განმავლობაში დაიმორჩილა. ვახტანგმა მაყურებლის ენებების გაგრილება პირველსავე წუთებზე დაადო ორჯერ დაანარცხა თურქი ხალიჩას და ორი ქულა ჩაიწერა აქტივში. ეს იყო ყველაზე მეტი ის, რაც გაკეთდა ქვესა წუთში. ჩოქბეიმში ზემოდან პირველად თურქი იყო. ბევრი უტრიალა მან ბალავაძის ელასტიკურ ტანს, ხან წინ მოექცა, ხან უკნიდან შემოუარა, მაგრამ ვერიქნა და ძვრა ვერ უყო მას ხალიჩიდან. ზემოდან მაინცდამაინც არც ვახტანგი აქტიურობდა. ცხადი იყო მსოფლიო ჩემპიონი თავს ინახავდა უკანასკნელი დგომისათვის, სადაც კვანძი უნდა გახსნილიყო.

კვანძი მართლაც გაიხსნა, მაგრამ საკმაოდ უსიამოვნო ფორმებში. ლეიბის კიდესთან მეტოქეებმა ხელი ჩახვიეს და მჭიდროდ მიეკვრნენ ერთმანეთს. ბალავაძე მაყურებლის მხარეს აღმოჩნდა, ხოლო თურქი ლეიბის მხარეს. აქვე მინდა მოგაგონოთ, რომ საჭიდაო სარბიელი საკმაოდ შემაღლებულზე იდგა. მოწინააღმდეგეები წამით გაქვავდნენ, გაიყინენ ერთ ადგილზე. შემდეგ თურქმა უბიძგა ვახტანგს და ორივე წამოვიდა მიწისკენ. დაცემა გარდუვალი იყო, თუმცა იქვე მდგომ მსაჯებსა და რეპორტიორებს შეეძლოთ მოჭიდავეთა დაჭერა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მათ აწყობდათ, რადგან დაცემის შემდეგ ბალავაძე ქვემოთ მოექცეოდა. ხოლო თურქი თავისთვის უვნებლად და ამავე დროს მთელი ტანის სიმძიმით დაენარცხებოდა ვახტანგის ზემოდან.

ეს ასეც მოხდა. მეტრნახევრის სიმაღლიდან დავარდნამ ვახტანგის წამით გრძნობა წაართვა. იგი მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როდესაც ოგანმა რამდენიმეჯერ ძლიერად მოარტყა მუშტი სახეში მას და შემდეგ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სიმულაციას მიმართა და ვითომდაც ტკივილებისაგან კრუნჩხვა დაიწყო. ვახტანგი სწრაფად წამოდგა ზეზე და ავიდა იმ საბედისწერო ხალიჩაზე, რომელზედაც ერთი წლის წინ ხელი დაიზიანა და დღესაც კინაღამ ძლიერი ტრავმა მიიღო. მომდევნო წამში გაბრუებულ ბალავაძეს ოგანმა კროტქულიანი ილეთი ჩაუტარა და შეხვედრაც დამთავრდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უსიამოვნო ინციდენტმა ყველაზე უარყოფითად იმოქმედა, მსაჯებმა ბრძოლა საყაიმოდ ცნეს და ორთავე სპორტსმენს აუწიეს ხელი. მომდევნო ორი წრე მშვიდობიანად ჩატარდა, ბალავაძემ დამარცხა მურთაზოვი (ბულგარეთი), ოგანმა — ფარდინი (ირანი). მაგრამ თურქისათვის უკვე ყველაფერი დაკარგული იყო, რადგან მისი ყაიმი მურთაზოვთან მდგომარეობას ვერ შველოდა. ბალავაძემ მოიპოვა ოქროს მედალი, ხოლო ოგანმა ვერცხლისა.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 72, 73, 74.

ს უ რ ა თ ზ ე: ბესტაევისა (სსრკ, მარცხნივ) და შახინის (თურქეთი) შეხვედრა.

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კოლმეურნე" და გორის „კრასნოე ზნამია". „კოლმეურნის" ფეხბურთელებმა ყოველ ტაიმში თითო ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

• • •

საინტერესო გამოდგა მატჩი ბათუმის „დინამოსა" და სამტრედიის „ლოკომოტივს" შორის. ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მენაბდემ გაიტანა თამაშის დასაწყისში, გადაწყვიტა მატჩის ბედი ბათუმელთა სასარგებლოდ.

• • •

რუსთავის „მეტალურგმა" თავის მინდორზე მიიღო „კოლმეურნე" (მახარაძე). ანგარიშით 2:1 გამარჯვება მოიპოვა „მეტალურგმა".

• • •

გათამაშების ლიდერი ტტს-ი (თბილისი) თამაშობდა ქუთაისში ადგილობრივი „დინამოს" წინააღმდეგ. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს ტრამვაელებმა — 2:1.

• • •

ზედიზედ მეოთხე დამარცხება განიცადა თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა. თბილისელებმა ამჯერად წააგეს შეხვედრა ქობულეთის „კოლმეურნესთან" — 0:2.

• • •

მეორე გამარჯვება მოიპოვა ქუთაისის „ტორპედომ", რომელმაც სოხუმში ანგარიშით 3:1 დაამარცხა ადგილობრივი „დინამო".

• • •

რუსთავში თამაშობდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკი" და ფოთის „ვოდნიკი". „ბურევესტნიკმა" შესვენების შემდეგ მოწინააღმდეგის კარში გაიტანა ერთი ბურთი, რომელმაც მას მოუტანა გამარჯვება.

მეორე ჯგუფი. I ზონა. „შახტიორი" (ტყიბული)-სას. სამ. ინსტიტუტი (ქუთაისი) — 2:1, წულუკიძე-„სტროიტელი" (ბათუმი)—4:0, „სპარტაკი" (საჩხერე)-„მეტალურგი" (ზესტაფონი) — 1:3, ატკ (ბათუმი)-ჩოხატაური — 3:0.

მესამე ჯგუფი. I ზონა. მარნეული-ლაგოდეხი — 1:1, ახმეტა-სიღნაღი — 2:0, „კოლმეურნე" (თელავი)-მცხეთა — 5:2.

II ზონა. საბურთალოს აგურის ქარხანა (თბილისი)-„კოლმეურნე" (გარდაბანი) — 2:1, „კოლმეურნე" (ველისციხე)-„კოლმეურნე" (ლაგოდეხი) — 2:0, თეთრი წყარო-„კოლმეურნე" (წითელწყარო) — 2:1.

III ზონა. „კოლმეურნე" (მაიაკოვსკი)-წყალტუბო — 1:2, „მეტალურგი" (ზესტაფონი) სას. სამ. ტექნიკუმი I (დიდი ჯიხაიში) — 3:3, სას. სამ. ტექნიკუმი (აბაშა)-„პიშჩევიკი" (ჩხოროწყუ) — 3:2, „მეტალურგი" (ციათურა)-„კოლმეურნე" (ლაითური) — 0:4, თერჯოლა-„შახტიორი" (ტყიბული) — 1:1.

IV ზონა. აბაშა-„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — 6:1, ონი-გეგეჭკორი — 3:1, ამბროლაური-„კოლმეურნე" (წულუკიძე) — 2:2, „კოლმეურნე" (მოშქედი)-სას. სამ. ტექნიკუმი II (დიდი ჯიხაიში) — 9:0, სამტრედია-„კოლმეურნე" (წალენჯიხა) — 6:1, სას. სამ. ტექნიკუმი (ჩოხატაური)-ცაგერი — 3:3.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ტტს-ი თბილისი	13	7	4	2	25:10	18
„დინამო" ბათუმი	12	7	4	1	20:7	18
„კოლმეურნე" ქობულეთი	13	7	4	2	19:9	18
„ბურევესტნიკი" რუსთავი	13	8	2	3	25:16	18
„მეტალურგი" რუსთავი	13	6	4		20:17	16
„ლოკომოტივი" სამტრედია	13	5	5	3	12:10	15
„კოლმეურნე" ლანჩხუთი	13	5	3	5	19:17	13
„ვოდნიკი" ფოთი	13	4	5	4	13:12	13
„კრასნოე ზნამია" გორი	12	4	4	4	11:13	12
„კოლმეურნე" მახარაძე	13	4	3	6	12:14	11
„დინამო" ქუთაისი	13	4	2	7	13:22	10
26 კომის. სახ. რაიონი თბილისი	13	3	1	9	12:23	7
„ტორპედო" ქუთაისი	13	2	3	8	16:29	7
„დინამო" სოხუმი	13	2	0	11	12:29	4

ორი მატჩის მიხედვით

ამას წინათ, თბილისში ჩატარდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელბურთელთა ორი ამხანაგური შეხვედრა. პირველ მატჩში გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა ანგარიშით 13:11. მეორე შეხვედრა, რომელიც მასპინძლებმა არასრული შემადგენლობით დაიწყეს, აღინიშნა სტუმრების მთლიანი უპირატესობით — 13:3.

რაში მდგომარეობს ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელთა ასეთი დიდი ანგარიშით წაგების მიზეზი? პირველ რიგში იმაში, რომ მასპინძლების დაცვის ხაზი მეორე შეხვედრაში შესუსტებული იყო. სტუმრებმა შეძლეს თბილისელთა დაცვაში თავისუფალი სამოქმედო ადგილების გამოძებნა, რაც თავდასხმის ლიდერებმა ოსტატურად გამოიყენეს გადამწყვეტი ტყორცნების შესასრულებლად. ამ მატჩმა დაგვანახა აგრეთვე ის, რომ ჩვენს თავდამსხმელებს ჯერ კიდევ კარგად არა აქვთ ათვისებული შეტევა მთელი ფრონტით და კარის აღებისათვის საფლანგო გარღვევების გამოყენება. ჩვენი ხელბურთელები ვერ არჩევდნენ ხელსაყრელ ადგილს პარტნიორისაგან გადაცემის მისაღებად. სწორედ ამიტომ მათ ტყორცნების განხორციელება ხშირად არახაიმედო პოზიციებიდან უხდებათ, რასაც სასურველი შედეგი არ მოაქვს. დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ჩვენი ხელბურთელების უმრავლესობა ვერ ფლობს შორმანძილიდან ძლიერად ტყორცნას.

ამ ნაკლოვანებების გამოსწორება არ არის ძნელი საქმე და იმედია, მომავალ ამხანაგურ შეხვედრებში ჩვენი სპორტსმენები შეძლებენ ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრან ის უარყოფითი მხარეები, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს მათ თამაშს.

ლ. თუშიშვილი

ბ. პონომარენკო — საუკეთესო მხედარი

საქართველოს პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში, რომელიც სულ ახლახან ჩატარდა თბილისის ახალ იპოდრომზე, ერთგვარ გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა საკავშირო ზონალური შეჯიბრებისათვის, ცხენის გაწვრთნასა და დაბრკოლებათა გადალახვაში, რომელშიც საქართველოს საკლუბო გუნდებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღოთ კიევის, ნოვოჩერკასკის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებს. მაგრამ შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ, არც კიეველები, არც ნოვოჩერკასკელები და არც სომხეთის ცხენოსნები, ხოლო აზერბაიჯანელები თავიანთი კლასით იმდენად ჩამორჩებოდნენ მასპინძლებს, რომ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში არც ერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა და შეჯიბრება ფაქტიურად საქართველოს ცხენოსანთა „რიგგარეშე“ პირველობას წარმოადგენდა.

ცხენის გაწვრთნაში, როგორც „დიდ პრიზზე“, ისე „მცირე პრიზზე“ („სან-გიორგი“) ზუსტად გამეორდა საქართველოს პირველობის ისტორია. „დიდ პრიზში“ საუკეთესო იყო გუდაუთელი სპორტსმენი ბ. პონომარენკო, რომელმაც 177 ქულა მიიღო და ოსტატის ნორმა შეასრულა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისელი მ. ერისთავი, რომელსაც სულ 9 ქულა დააკლდა ოსტატობის ნორმის შესრულებას.

„სან-გიორგში“ ერისთავმა შეძლო რევანშის აღება და 122 ქულით დაიკავა პირველი ადგილი. პონომარენკო გამარჯვებულს ჩამორჩა 4 ქულით.

მესამე ადგილი „სან-გიორგში“ დაიკავა კვლავ მ. ერისთავმა, რომელიც ამჯერად სხვა ცხენზე — „პროვინციაზე“ იჯდა. გუნდური პირველობა ცხენის გაწვრთნაში (ორივე პრიზის შედეგების ჯამი) მოიპოვეს გუდაუთელებმა, თბილისელებს ერგოთ მეორე ადგილი.

დაბრკოლებათა გადალახვაში „სსრ კავშირის თასზე“ კარგად მომზადებული გამოვიდნენ გუდაუთელი მხედრები ბ. პონომარენკო (ცხენი „სალამი“), გ. გუმბა („რადიუმი“) და ნ. არძინბა („კარტინკა“). მათ დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა სოხუმის რაიონის „კოლმეურნის“ საცხენოსნო სკოლის გუნდი კუზმინის, ნილოვისა და ვასენკოვის შემადგენლობით.

პირად ჩათვლაში კონკურენციის გარეშე იყო პონომარენკო. 4 საჯარიმო ქულა მიიღო პირველ გიტში ვასენკოვმა (ცხენი „არწივი“) და ამდენივე საჯარიმო, ოღონდ მეორე გიტში — გუმბამ. მათ შორის დანიშნულ იქნა დამატებითი ხტომა რომელიც გუმბას გამარჯვებით დამთავრდა.

მეტად საინტერესო და თავისებურია შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში, რომელსაც „სამონადირეო“ ეწოდება. აქ ცხენოსანს არ ეძლევა მარშრუტი. მან 18 დაბრკოლება უნდა დაძლიოს ისე, როგორც მას სურს — ნებისმიერი მიმართულებით, მაგრამ რაც შეიძლება მოკლე დროში. ახვევისათვის საჯარიმო ქულები არ იწერება, მაგრამ თვით ამ ახვევის დროს იკარგება დრო, რაც თავისთავად ჯარიმას ნიშნავს.

1 წუთსა და 41,1 წამში „მონადირა“ ყველა დაბრკოლება თავის „დობრინაზე“ კუზმინმა და პირველი ადგილი დაიკავა. გუმბას შედეგია 1.48,0, პონომარენკოსი — 1.51,8.

კიდევ უფრო ორიგინალურია შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში ამორჩევით: მინდორზე განლაგებულია 12 დაბრკოლება. ყოველ მათგანს აწერია ციფრი, რომელიც მის შეფასებას ნიშნავს. ყველა ამ დაბრკოლებიდან მხედარმა თავისი ამორჩევით და სასურველი მარშრუტით უნდა გადალახოს 6 დაბრკოლება. თვითეული სპორტსმენი, რა თქმა უნდა, ცდილობს მეტი ღირებულების დაბრკოლება დაძლიოს, მაგრამ ისინი ისეა განლაგებული, რომ მარშრუტის ამორჩევა ძნელდება. გარდა ამისა, არ შეიძლება დარღვეულ დაბრკოლებაზე ხელმეორედ მისვლა, ე. ი. 0 შეფასების გამოსწორება აქ შეუძლებელია.

პირველად სტარტი აიღო პონომარენკომ. მისი უნარიანი ხელი ოსტატურად მართავდა ცხენს და „სალამი“ ზუსტად, შეუცდომლად გადადიოდა დაბრკოლებებზე. პონომარენკომ მიიღო ქულათა მაქსიმუმი — 80. ასეთივე შეფასება ჰქონდათ ნილოვს და არძინბას. პირველი ადგილის გამოსარკვევად მათ შორის დაინიშნა დამატებითი ხტომა, რომელიც პონომარენკოს გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილი ერგო არძინბას.

ამ შეჯიბრებაში დანიშნული იყო სპეციალური წოდება — „საუკეთესო მხედარი“. ნარინჯისფერი სამკერდე ლენტი მედლით დასაწყისში გუმბას ეკონდა, მაგრამ შემდგომში იგი პონომარენკოს კუთვნილება გახდა, რომელიც მან დამსახურებულად შეინარჩუნა ბოლომდე. პონომარენკო, მართლაც, საუკეთესო მხედარი იყო: იგი მოხდენილად, მსუბუქად იჯდა ცხენზე, სურვილისამებრ იმორჩილებდა მას.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს გუდაუთელებმა. მომდევნო ადგილებზე არიან სოხუმის რაიონისა და თბილისის ცხენოსნები.

ჩატარებულ იქნა აგრეთვე რამდენიმე დოღი. ცხენთა რბოლში 1.200 მეტრზე ფინიშთან პირველი იყო იოსელიანი (ცხენი „ტროფიალი“), 3.000 მეტრი მოიგო გირუნმა („გიტარა“), ხოლო გლუვ დოღში 2.000 მეტრზე საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა პითავამ („პალისტომი“) — 2.10,6.

ა. ვარდიაშვილი

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ბ. პონომარენკო (მარცხნივ) და გ. გუმბა დაბრკოლებათა გადალახვისას.

ფოტო გ. ლივშიცისა.



ჭადრაკის
კლუბი

მსოფლიოს გროსმაისტერები

დღეს მსოფლიოში 47 მოჭადრაკე ატარებს საერთაშორისო გროსმაისტერის სახელს. ესენი არიან:

ე. გრიუნფელდი (ავსტრია), მ. ნაიდორფი, ო. პანო, გ. პილნიკი, ე. ელისკაზესი (არგენტინა), ა. ოკელი, ა. რუბინშტეინი (ბელგია), გ. ბარცა, ლ. საბო (უნგრეთი), ფ. ზემიში, ვ. უნციკერი (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა), მ. ეივე (ჰოლანდია), ბ. ლარსენი (დანია), ი. აუერბახი, ი. ბოლესლავსკი, ი. ბონდარევსკი, მ. ბოტვინიკი, დ. ბრონშტეინი, ე. გელერი, პ. კერესი, ვ. კორჩნოი, ა. კოტოვი, გ. ლევენფიში, ა. ლილიენტალი, ტ. პეტროსიანი, ვ. რაგოზინი. ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი, მ. ტაიმანოვი, ა. ტოლუში, ს. ფლორი (საბჭოთა კავშირი), ი. კეჟდენი, ს. რეშევსკი, რ. ფაინი (ამერიკის შეერთებული შტატები), ო. ბერნშტეინი. ნ. როსოლიმო (საფრანგეთი), ლ. პახმანი, მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია), გ. შტალბერგი, გ. შტოლცი (შვეცია), მ. ვიდმარი, ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი, ბ. კოსტიჩი, ა. მატანოვიჩი, ვ. პირცი, პ. ტრიფუნოვიჩი (იუგოსლავია).

ამოცანა

რ. თავარიანი (ბორჯომი)



შამათი სამ სვლაში.

Д. БРОНШТЕЙН
Ю. ГУСЕВ
МАСТЕР СПОРТА

წარსულიდან

ის საჭადრაკო ნოტაცია, რომელიც ახლა მსოფლიოშია გავრცელებული, XVIII საუკუნეში გამოიგონა მოზეს გირშელმა. პირველი წიგნი, რომელიც ამ ნოტაციის გამოყენებით დაიწერა, ეკუთვნის გამოჩენილ იტალიელ ოსტატს ჯოაკინო გრეკოს. წიგნი დაიბეჭდა 1784 წ. ბარსელონაში.

• • •

რუსეთში ოსტატის სახელის ოფიციალურად მინიჭება დაიწყო 1909 წელს. პირველმა ოსტატის სახელი მიიღო ამავე წელს ჩატარებულ მოყვარულთა სრულიად რუსეთის ტურნირის პრიზიორმა ალექსანდრე ალიოხინმა — შემდეგში მსოფლიოს ჩემპიონმა.

ქრონიკა

მოსკოვში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა სავარჯიშო ტურნირი. I–II ადგილები გაიყვეს ე. ბიკოვამ და ლ. ვოლპერტმა (6,5 ქულა თვითეულს 12 შესაძლებლიდან). კ. ზვორიკინას — 6 ქულა აქვს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონს ო. რუბცოვას — 5 ქულა.

• • •

კრასნოდარში დამთავრდა რსფსრ-ს საჭადრაკო ჩემპიონატი რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მეოთხედ მოიპოვა ოსტატმა ნეჟმეტდინოვმა, რომელმაც 17 შესაძლებლიდან 12 ქულა მოაგროვა გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩნენ ვლადიმიროვი, ლუტიკოვი, ტარასოვი და შამკოვიჩი. საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს აგრეთვე ბორისენკომ, კროგიუსმა და ბასტრიკოვმა.

დ. ბრონშტეინი — მოსკოვის ჩემპიონია

ბრწყინვალე თამაშით გროსმაისტერმა დ. ბრონშტეინმა 11 შესაძლებლიდან 9,5 ქულა მოაგროვა და დედაქალაქის ჩემპიონი (მესამედ) გახდა.

გაარჩიეთ ბრონშტეინის ამ ტურნირში გათამაშებული ეს მეტად საინტერესო პარტია

ა. ვოლოვიჩი — დ. ბრონშტეინი

ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 d6 3. მf3 მbd7 4. კf4 c6 5. მc3 ლa5 6. ლc2 g6 7. e3 მh5 8. კg5 მdf6 9. h3 h6 10. კ:f6 მ:f6 11. კd3 კg7 12. 0—0—0 0—0 13. g4 b5! (პოზიციებში, სადაც სხვადასხვა მხარესაა გაკეთებული როქი, ჩვეულებრივ მწვავე ბრძოლა ჩაღდება, ასე ხდება ამ შემთხვევაშიც) 14. მd2 b4 15. ლa4 ლb6 16. მce4 მd7 17. მb3 d5 18. cd cd 19. მec5 მ:c5 20. dc (20. მ:c5-ზე იქნებოდა 20 ... e5) 20. ... ლf6! 21. ეd2 ლf3 22. ეg1 ლ:h3 23. ლ:b4 ლh2 24. ეgd1 a5 25. ლa4 (და არა 25. მ:a5 ლc7 გამო) 25. ... ლc7 26. კb5 d4! 27. ed კ:g4 28. ეe1 h5! (29. ..., კh6 მუქარისაგან დაცვა არ ჩანს) 29. კc6 ეac8 30. კh1 კh6 31. ლ:a5 კ:d2+ 32. ლ:d2 კf5 33. მa5 (ასუსტებს პოზიციას. უკეთესი იყო 33. კe4 ან 33. ეe5) 33. ... ლd7 34. b4 ეfd8 35. d5 ლa4! 36. კe3 (მუქარა იყო 36 ... ლa3+ 37. ლb2 ე:c5+!) 36. ... e6! (ახლა არ შეიძლება 37. d6 ე:d6 გამო) 37. მb7 კd7 38. d6 ლb5! 39. მa5 ე:c5+ თეთრები დანებდნენ

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: დ. ბრონშტეინი მოსკოვის პირველობის გათამაშებისას.

იერიში რეკორდებზე

როგორც ცნობილია, 27 აპრილს ქალაქ პალო-ალტოში ცნობილმა ამერიკელმა მძლეოსანმა ბობ გუტოვსკიმ გააუმჯობესა კ. უორმერდამის მიერ 1942 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი ჭოკით ხტომაში. მან აჩვენა 4 მეტრი და 78 სანტიმეტრი. 14-15 ივნისს ოსტინში (ტეხასის შტატი) გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პირველობა უნივერსიტეტების სპორტსმენთა შორის. აქ კვლავ შესანიშნავი შედეგი აჩვენა ბ. გუტოვსკიმ, რომელმაც დაძლია 4 მეტრი და 82 სანტიმეტრი და 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

ბ. გუტოვსკიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა დაწნეხილი მინის „ვიბერგლასის“ ჭოკით.

ამ შეჯიბრებაში მაღალი შედეგი აჩვენა ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. მოროუმ. მან 100 იარდი (91,4 მ) 9,3 წამი გაირბინა და მსოფლიო რეკორდი გაიმეორა. ასეთივე შედეგით, მხოლოდ მკერდით უკან ფინიშთან მეორე იყო ა. მერჩისონი.

გაზაფხულზე გ. ბელმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა ფენომენალური შედეგი — 8 მეტრი და 9 სმ. სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ამერიკელი მოკლე ხანში გააუმჯობესებდა ჯ. ოუენსის მსოფლიო რეკორდს — 813 სმ. ასეთი გადაწყვეტილებით გამოვიდა გ. ბელი ამ შეჯიბრებაზე, მაგრამ ამჯერადაც „უიღბლო“ გამოდგა მისი ნახტომი, რომელიც 8 მეტრსა და 10 სანტიმეტრს უდრიდა.

ფრუნზე. 20 ივნისი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის მესამე ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „სპარტაკი“ (ფრუნზე) — თბილისის საოლქო სპორტული კლუბის გუნდი.

დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა — 2:1.

საერთაშორისო მატჩები

წელს შედგება რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში საქართველოს გუნდების მონაწილეობით.

4 ივლისს თბილისის „დინამო“ თავის მინდორზე მიიღებს თურქეთის ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდს. 7 ივლისს თბილისის საოლქო სპორტული კლუბის ფეხბურთელები შეხვდებიან ირანის საფეხბურთო კლუბის გუნდს.

21 ოქტომბერს თბილისში არმიელთა წინააღმდეგ ითამაშებს ფინეთის ერთ-ერთი საკლუბო გუნდი. 4 ნოემბერს ფინელი ფეხბურთელები ითამაშებენ ქუთაისში „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.
საქართველოს კპ ც. კ-ის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 01955